განმარტება პროექტის კორექტირებაზე:

პროექტში განხორციელებული ცვლილებები შეესაბამება „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების და პროექტის საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილებით დამტკიცებულ ტექნიკურ რეგლამენტთან -„მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“ მოთხოვნებს, კერძოდ:

გაიზარდა კ2 კოეფიციენტი კ2=3.6 მდე. საპროექტო შენობას დაემატა ორი საცხოვრებელი (სც-2) სართული +33.80 და +36.95 ნიშნულებზე და შეიცვალა ბინების რაოდენობა. +4.50 ნიშნულზე შემცირდა კომერციული ფართობი (მოაკლდა „10-13“ „ე-გ“ ღერძებში არსებული მონაკვეთი) და მოეწყო ტერასა რომელიც ეკუთვნის კომერციულ ფართს, ასევე დაემატა 0,00 ნიშნულიდან 4,50 ნიშნულზე ასასვლელი შიდა კიბე; 0,00 ნიშნულზე განთავსებული იყო ავტოსადგომი 8 მანქანაზე. ახლა ეს სივრცე მთლიანად იქნება კომერციული ფართი. საპროექტო ბლოკში N3 განთავსებულია 76 ბინა, ხოლო მიწისქვეშა ავტოსადგომი გათვლილია 44 ავტოსადგომზე, დანარჩენი საჭირო 32 ავტოსადგომი განთავსებულია №7524514 ბრძანებით შეთანხმებული ბლოკი N4-ის +4.30 ნიშნულზე. N89-დან N-120 ის ჩათლით. +4.50 ნიშნულზე მოეწყო ტერასა რომელიც ეკუთვნის კომერციულ ფართს.